**ОФК** (Белград)
Старший тренер **М. ШОШКИЧ**
Капитан команды **Д. СТЕПАНОВИЧ**

უეფა-ს თასზე
«დინამო»
(თბილისი)
«ოფკ-ბელგრადი»
(იუგოსლავია)

24
ოქტომბერი
Октября

დასაწყისი **Начало** в **18** საათზე **часов**

1
Ворота

3 Стоилкович — 4 Мешанович

2 Вукашинович — 5 Митрович

6 Божович — 7 Зец — 8 Башич

9 Сантрач — 10 Лукич — 11 Степанович

11 Л. Нодия — 10 Г. Нодия — 9 Кипиани

8 Асатиани — 7 Мачаидзе — 6 Эбралидзе

5 Хинчагашвили — 2 Дзодзуашвили

4 Хурцилава — 3 Челидзе

1
Гогия

**НА КУБОК УЕФА**
*„ДИНАМО"*
(Тбилиси)
*„ОФК-БЕЛГРАД"*
(Югославия)

**«ДИНАМО»** (Тбилиси)
Старший тренер **А. КОТРИКАДЗЕ**
Капитан команды **М. ХУРЦИЛАВА**

*1973*

ფასი 5 კაპ. — Цена 5 коп

Заказ № 3433 — Тираж 3 000 — УЭ 12890



# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი

КЛУБ ОФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# ჩვენი მეტოქე

უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალში კენჭისყრამ თბილისის „დინამოს" ძალზე ძნელი მეტოქე შეახვედრა იუგოსლავიის „ოფკ-ბელგრადის" სახით. იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა ოცდამეთორმეტედფინალში ითამაშეს საბერძნეთის „პანათინაიკოსთან", პირველი მატჩი მოწინააღმდეგის მინდორზე მოიგეს ანგარიშით 2:1, განმეორებითი თამაში მან წააგეს — 0:1 და ორი მატჩის საერთო ჯამში, ევროპული ტურნირების დებულების შესაბამისად, მიაღწიეს საერთო გამარჯვებას. დღეს ისინი ჩვენს სტადიონზე თამაშობენ თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ.

რას წარმოადგენს ეს გუნდი, როგორია მისი ბიოგრაფია, ძალა და მაჩვენებლები?

ოფკ ნიშნავს „ომლადინსკი ფუდბალსკი კლუბს" (სერბიულად — ახალგაზრდული საფეხბურთო კლუბი). გუნდი 5-ჯერ იყო იუგოსლავიის ჩემპიონი, 4-გზის ფლობდა თავისი ქვეყნის თასს და უკვე ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ მის საერთო სიძლიერეზე. იუგოსლავია საფეხბურთო ქვეყანაა, იქ მრავალი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი აღზრდილა, ამიტომ ისეთი წარმატებები, როგორიც ოფკ-ს აქვს, ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. როცა ლაპარაკია იუგოსლავიური ფეხბურთის ლიდერებზე, აღნიშნავენ „ცრვენა ზვეზდას" (ბელგრადი), „პარტიზანს" (ბელგრადი), ოფკ-ს (ბელგრადი) და 2 პროვინციულ გუნდს — „ჰაიდუკს" (სპლიტი) და „დინამოს" (ზაგრები). უკვე ეს სოლიდური ატესტაციაა.

ოფკ-ს ყველაზე დიდი წარმატებები დაკავშირებულია 60-იან წლებთან, შემდეგ გუნდმა საკმაოდ სერიოზული კრიზისი გადაიტანა და ახლა კვლავ ჩადგა ავანგარდში, კერძოდ, 1970 წელს ჩემპიონატში დაიკავა V ადგილი, შემდეგ წელს — IV, შარშან კი III, რითაც უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება გაინაღდა.

საინტერესოა ერთი ამბავი: ოფკ შარშანაც გამოდიოდა უეფა-ს თასზე, მწყობრიდან გამოიყვანა 3 მეტოქე და მიაღწია მეოთხედფინალს, სადაც წააგო სწორედ იმ გუნდთან — ჰოლანდიის „ტვენტესთან", რომელმაც I წრეში დაამარცხა თბილისის „დინამო" (2:3 თბილისში და 2:0 ენსხედეში).

იუგოსლაველი ფეხბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ოფკ-ბელგრადი" უმთავრესად განწყობის გუნდია. არის შემთხვევები, როცა იგი უთმობს თავისზე საერთო კლასით დაბალ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ როცა საქმე მიდგება პრინციპულ მატჩებზე, ძლიერ მეტოქეებზე, თამაშობს გაორმაგებული ძალით და მონდომებით, ავლენს მთელ თავის შესაძლებლობებს.

„ოფკ-ბელგრადის" წამყვანი მოთამაშეა უნივერსალური ტიპის ფეხბურთელი, საერთაშორისო კლასის ვარსკვლავი დ. სტეპანოვიჩი. მას თანაბარი სიძლიერით შეუძლია გამოსვლა დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც, მაგრამ ძირითადად იგი მცველია. 1971 წელს სტეპანოვიჩი იუგოსლავიის № 1 ფეხბურთელად იქნა მიჩნეული და ახლაც ეროვნული ნაკრების ნამდვილ ბურჯს წარმოადგენს.

ბელგრადელთა უძლიერეს რგოლად უნდა მივიჩნიოთ თავდასხმა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ძლიერი ცენტრალური ფორვარდი ს. სანტრაჩი. მას არაერთხელ უთამაშია იუგოსლავიის ნაკრებში, თავის კლუბში საუკეთესოდაა შეთამაშებული პარტნიორებთან, გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით. ასე, იუგოსლავიის 1971-72 წლების ჩემპიონატში მან 33 ბურთი გაიტანა. ძლიერი ფეხბურთელები არიან აგრეთვე ლუკიჩი, ზეცი, მეშანოვიჩი, ბოროტა და სხვები. გუნდს წვრთნის იუგოსლავიური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე წარსულში მ. შოშკიჩი, რომელსაც სამყაროს ნაკრებში აქვს ნათამაშევი 1963 წელს.

წინა წლებისგან განსხვავებით, უეფა-ს ტურნირში წლეულს კიდევ ერთი ეტაპის, მერვედფინალის მატჩებიც ჩატარდება. 9 ნოემბერს მოხდება კენჭისყრა მათთვის, ვინც მერვედფინალში გავა და ეს მატჩები გაიმართება 28 ნოემბერს და 12 დეკემბერს.



# ФУТБОЛ В ЮГОСЛАВИИ

Футбольный союз Социалистической Федеративной Республики Югославии основан в 1919 году, членом ФИФА является с 1923 года. Объединяет более 4 тысяч клубов и свыше 130 тысяч футболистов. Профессионализм введен в 1966 году.

Сезон в Югославии длится с августа по июнь. Чемпионат страны разыгрывается с 1923 года. В настоящее время в I группе 18 команд играют в два круга. Розыгрыш Кубка маршала Тито проводится с 1947 года.

Самыми популярными клубами в Югославии являются: «Црвена Звезда» (Белград) — 11-кратный чемпион и 9-кратный обладатель Кубка, «Партизан» (Белград) — 6 и 4, ОФК (Белград) — 5 и 4, «Хайдук» (Сплит) — 6 и 1, «Динамо» (Загреб) — 3 и 5.

Футбол в Югославии долгое время находился под влиянием венгерского, австрийского и итальянского стиля, пока, наконец, не выработал свой собственный стиль, основанный на артистичном обращении с мячом и тонкой импровизации. Югославский футбол пользуется всеобщим признанием и богат спортивными достижениями. В конце 60-х годов его позиции несколько пошатнулись, главным образом потому, что много лучших игроков с разрешения футбольного союза перешли в заграничные клубы, однако отличные внутренние ресурсы позволяют высоко оценивать перспективы югославского футбола.

Национальная сборная Югославии трижды становилась серебряным призером олимпийских игр, а в 1960 году стала олимпийским чемпионом. Югославы участники пяти финальных турниров чемпионата мира, в 1930 году заняли III место, в 1962 г. были четвертыми.

В розыгрыше Кубка Европы 1960 года Югославия завоевала серебряные медали, также 2-е место заняла она в чемпионате Европы 1968 года.

Больших успехов на международной арене добились клубные команды Югославии. «Партизан» — финалист Кубка чемпионов 1966 года, «Динамо» (Загреб) — обладатель Кубка ярмарок 1967 года и финалист 1963 года и т. д.

## КУБОК УЕФА

### 1/16 ФИНАЛА

**«Ипсвич»** (Англия) — **«Лацио»** (Италия)
**«Динамо»** (Киев, СССР) — **«БК 1903»** (Дания)
**«Локомотив»** (Пловдив, Болгария) — **«Гонвед»** (Венгрия)
**«Рух»** (Польша) — **«Карл Цейс»** (ГДР)
**«Штутгарт»** (ФРГ) — **«Татран»** (Чехословакия)
**«Лидс»** (Англия) — **«Хиберниан»** (Шотландия)
**«Фейеноорд»** (Голландия) — **«Гвардия»** (Польша)
**«Стандард»** (Бельгия) — **«Университа»** (Румыния)
**«Фортуна»** (ФРГ) — **«Адмира»** (Австрия)
**«Абердин»** (Шотландия) — **«Тоттенхэм»** (Англия)
**«Динамо»** (Тбилиси, СССР) — **ОФК** (Белград)
**«Паначаки»** (Греция) — **«Твенте»** (Голландия)
**«Локомотив»** (Лейпциг, ГДР) — **«Вулверхемптон»** (Англия)
**«Марсель»** (Франция) — **«Кёльн»** (ФРГ)
**«Ницца»** (Франция) — **«Фенербахче»** (Турция)
**«Витория»** (Португалия) — **«Рэсинг»** (Бельгия)

Матчи очередного круга европейских турниров проводятся 24 октября и 7 ноября (первая игра на поле команды, указанной первой).